წელიწადი მე-2 — ტელეფონი № 76. — კვირა, 29 მაისი

# სამშობლო

№ 367

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ, თვიურად 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ [illegible] პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის [illegible] ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 26 მაისიდან ახალი პროგრამა.

**წყალქვეშა ნავი და მისი მოწყობილობა.**

საფრანგეთის კინემატოგრაფის სინდიკატისა.

**ნავთისა და მილიონების სამეფოში.**

1 სერია იბრაგიმ ბეკ მუსარბეკოვის რომანისა. კინო დრამა ბაქოელ მუსულმანთა ცხოვრებიდან. სცენარია ა. დ. პაპოვ-პოტიომკინისა, ბ. ნ. სვეტლოვის მიერ დადგმული.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 30 მაისიდან ახალი პროგრამა.

**გომონის ქრონიკა 39 ბ**

**სინიდისის მხილება.** დრამა ოთხ ნაწილად, მაქსიმოვის მონაწილეობით.

## ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 26 მაისიდან ახალი პროგრამა.

**წყალქვეშა ნავი და მისი მოწყობილობა.**

საფრანგეთის სინემატოგრაფის სინდიკატისა.

**ხან ვარ მეფე, — მბრძანებელი,**
**ხანაც მონა — ცრუ და უბედი,**
**ხან ვარ მატლი, — მავნებელი**
**ხან თვით ღმერთი — შემოქმედი.**

ძლიერი დრამა 4 ნაწ. ცნობილ მსახიობთა გრომოვისა და ნელსკის მონაწილეობით.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 30 მაისიდან ახალი პროგრამა.

**გომონის ქრონიკა 40 ა.** მიმდინარე ამბები.

**ნამი სისხლისა.** დრამა 5 ნაწილად ცნობილ მსახიობ ქალის ესპერი მონაწილეობით.

ადგილების ფასი „**ამპირსა**“ და „**რადიუმში**“; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

---

**ქალაქი ქუთაისი.** **ქალაქის თეატრი.**

## ხუთშაბათს, 2 ივლისს გაიმართება

მოსკოვის საიმპერატორო თეატრის დამსახურებული მსახიობის

## თავ. ა. ი. სუმბათაშვილის-იუჟინის

## სალამო-მეჯლისი

წაიკითხავს ლექციას თეატრის მნიშვნელობაზე და სხვადასხვა სცენებს და მონოლოგებს საკუთარის, შექსპირის და სხვათა მწერალთა თხზულებიდან.

დასაწყისი სალამოს $9^1/_2$

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

---

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

**ამზადებს**

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის. პირობების გაგება შეიძლება. სალამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძასა. თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. სალ. საათ 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, სალამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

**ექიმი** **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და სალამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №. 14 46, ტელეფონი № 87 თ

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, $12^1/_2$ — საათ. სალ. 6—8 საათ. მისამართი: ლვოვოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი** **ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

---

დარისპან სიმონის ძე ჩიხლაძე, მეუღლე მისი პელაგია გრიგოლის ასული, ვალიკო, თამარ, ნადია და ქეთო, ალექსანდრე გაბრიელის ძე ჩიხლაძე და მეუღლე მისი მარიამ ზაქარიას ასული, ვერიჩკა წივწივაძისა, აკაკი და ნინა ბალანჩივაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს პირველი შვილისა, მეორენი ძმისა, მესამენი ბიძაშვილისშვილისა, ხოლო უკანასკნელნი ბიძაშვილის—კიევის. ფილოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულის

**ივანე (ვანო) დარისპანის ძის ჩიხლაძის**

უდროოდ გადაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 29 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე; გამოსვენება მესამე ალექსანდროვის ქუჩა, თედორე ბულეიშვილის 193 სახლიდან. პანაშვიდი ყოველდღე, სალამოს 7 საათზე. 2—2

---

ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოებას რომ ხუთშაბათს, 2 ივნისს, ღამის 12 საათზე, ჩვენი მეირთვასი თანამემამულის თ-დი

## ა. ი. სუმბათაშვილის

პატივსაცემლად საზაფხულო კლუბში გაიმართება

## ნადიმი.

ყოველი დამსწრე მამაკაცი იხდის 12 მანეთს, მანდილოსანი — 6 მანეთს. ვისაც სურს დაესწროს უნდა ამთავითვე ჩაეწეროს დრამატიული საზოგ. გამგეობის კანტორაში და გადაიხადოს ხვედრი ფული. 3—1

---

## განცხადება.

ვაუწყებ პატივცემულ ჩემს მუშტრებს და ქუთაისის საზოგადოებას, რომ ვინაიდან ამ ბოლო დროს ჩემი ჯანმრთელობა საგრძნობლათ შეილახა, იძულებული ვ-რ 1886 წლიდან დაწყებული ფქვილით ვაჭრობა შევსწყვიტო, როგორც კი გავყიდი იმ ფქვილს, რომელიც ამჟამად მაქვს მიღებული. ამიტომ ვსთხოვ ჩემს მუშტრებს, რომ ეცადონ სხვა რომელიმე წყაროების გამომებნას ფქვილის საშოვნელად, რათა ქუთაისის საზოგადოება დაკმაყოფილებულ იქნეს ამ უსაჭიროესი სანოვაგით.

**პატივისცემით ფქვილის მოვაჭრე**

**მიხეილ მოშიაშვილი.**

---

## ვენახის საწამლათ.

იყიდება ცნობილი ქაკმენის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შემდეგ სნეულებისაგან: მილდიუმიდან, იოდიუმიდან და სხვადასხვა მავნე მწერისაგან. ამ სითხით წამლობენ შვიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.

წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფხვნილი) „**ტრინდენისა**“. იყიდება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა ვენახებისათვის.

მისამართი: სავაჭრო სახლი „კლოჟგურული“ ქუთაისი, კახიანოური. თვ.

---

**ქ. ქუთაისში 1 ივნისიდან იხსნება სამი თვის**

## ჭრა-კერვის

**კერძო კურსები.**

მიღება დაიწყება სამ მაისიდან დამლევამდე. პირობების გაგება შეიძლება ფრანგების ქუჩის შესახვევში სახლი კოსტანოვისა, მასწავლებელ ეკატერინე ალხანაშვილთან, ნაშუადღევის 3—7 საათ კვირა უქმეობით დილის 10 საათ. სალ. 6 საათამდი.

მსურველს შეუძლია სამოსწავლო ატესტატი მიიღოს.

56 ეგზამენების დაჭერა მოხდება ექსპერტების თანდასწრებით.

---

# მსოფლიო ომი

## დეპეშები

**პარიზი.** 25 მაისი. დღის ოფიციალი. სუასონის დასავლეთით, ფონტენუასთან ახლოს გავდევნეთ ორი გერმანელი მფრინავი, რომელიც მდინარე ენზე გადმოფრენას ცდილობდა. ნუკრონის ახლოს, ჩვენმა არტილერიამ მტრის რამდენიმე გამაგრებული ადგილი გაანადგურა. არგონებში ფილმორტთან ახლოს სამი ნაღმი ავაფეთქეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზედ, გერმანელებმა დაჟინებული იერიში მოიტანეს ვოს სიმაგრეზე; იერიში ცეცხლის მფრქვეველებით მოვიგერიეთ.

გერმანელთა არტილერია მედგრად ესროდა ვოს და მის ახლო-მახლო ადგილებს. ჩვენი არტილერია ენერგიულად უპასუხებს მას. ვოგეზებში, ჰარტმანსვეილერკოპფის ხაზზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს.

**პარიზი.** 25 მაისი. სალამოს ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე, 304 სიმაღლის მიდამოში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. დუომონ-დანლუს შუა მოპირდაპირემ ძლიერი ცეცხლი გააჩინა. გერმანელები იტყობინებიან, რომ ვოს სიმაგრე 24 მაისს, სალამოთი დაიჭირეს. თუმცა 25 მაის, 3 საათს დილით სიმაგრე ჩვენს ხელში იმყოფებოდა ვოგეზებში, სელის მიმართულებით, მოპირდაპირის მზვერავები გავფანტეთ.

**პარიზი.** 26 მაისი. დღის ოფიციალი. არგონებში, „285“ სიმაღლესთან გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს. მაასის მარცხენა ნაპირზე ჩვენი თხრილების მეორე ხაზს, მტერი მედგრად ზარბაზნებს უშენს. მდ მარჯვენა ნაპირზე, ტიოგინ დუომონის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა. 7 დღის ბრძოლის შემდეგ სიმაგრემ ველარ შესძლო წინააღმდეგობა გაეწია მოპირდაპირესთვის. ფრანგებს შერჩათ თხრილები სიმაგრის მარცხნივ და მარჯვენა მხარეს. ჰარტმანსვეილერკოფში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

**ლონდონი**, 25 მაისი. ინგლისის დამატებითი ცნობა ხოოხეს ჩრდილოეთით მოპირდაპირის იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა. როკლენკურის ჩრდილოეთით ნაღმები ავაფეთქეთ და სანაღმოსნო გალერეიები დავაზიანეთ. გუშინ, ღამით, ინგლისელთა რაზმები გერმანელების თხრილებში შეიჭრენ და ტყვეები წამოიყვანეს. გუშინდელი უამიდობა ხელს უშლიდა საფრენის მოქმედებას.

ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიმშვიდეა

**ლონდონი.** 25 მაისი. დღის ცნობა. გუშინ და დღეს იპრის აღმოსავლეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. გუშინ, მტერმა ხოოხეს ნანგრევებს შუა თხრილები დაიჭირა. დანარჩენ ადგილებში მათმა იერიშებმა უშედეგოთ ჩაიარა. ღამის განმავლობაში, ავსტრალიელ ჯარის რაზმები ჰრენიეს აღმოსავლეთით მდებარე თხრილებში შეიჭრნენ და ტყვეები იგდეს ხელთ. კენის აღმოსავლეთით მტერს მოულოდნელად თავს დავესხით.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

— —

რიგის ფრონტზე იკსკიულის მიმართულებით ამ ბოლო დროს ძლიერ გაცხოველდა საარტილერიო ბრძოლა.

— —

18 მაისს ქ ვ—ს რამდენჯერმე ესტუმრენ გერმანელთა ჰაეროპლანები და ქალაქში 17 ყუმბარა ჩამოაგდეს. როგორც გამოირკვა, ჰაეროპლანებს დაზვერვა ჰქონდათ მინდობილი.

— —

ტბის რაიონში მოლოდენოს მიმართულებით სასტიკი ბრძოლა დაწყებულა.

# ომის დღიური.

——

**ვერდენის** ასპარეზზე გერმანელებმა წინ წაიწიეს, ფორტი ვო დაიპყრეს და მთავარ პოზიციას უშენენ.

**რიგისა და დვინის** მხრით ძლიერი შეტაკებებია. ტბის რაიონში ცვლილება არ მომხდარა.

**იტალიის ასპარეზზე** ბრძოლა ისევ ძველის სიმძაფრით გრძელდება.

**ინგლისის ასპარეზზე** ცხარე ბრძოლა გრძელდება, აქ გერმანელებმა ინგლისელთ რამდენიმე თხრილი წაართვეს.

**კავკასიის ასპარეზზე** მდგომარეობა ბევრად არ შეცვლილა.

ცხარე ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე ნაროჩთან და მიაძიოლთან, ზარბაზნების გრიალი დღე ღამე არა სწყდება.

——

დაბა ვეისტომს თავს დასხმია გერმანიის 14 ჰაეროპლანი და ქალაქისთვის ყუმბარები დაუშენია.

——

მთელ პოლესიეში ამ უკანასკნელ დროს მეტად განვითარდა სამხედრო მოქმედება.

——

ვესელუხთან ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდა ბავარიის კორპუსი, იგი ჰინდენბურგის მოთხოვით გადმოიყვანეს რუსეთის ასპარეზზე. „ბირჟ. ვედ." ცნობით, აქ მომხდარ ბრძოლაში ამ კორპუსს დიდი ზარალი მოსვლია.

მინსკთან ყოველდღე ჩნდებიან გერმანელთა ჰაეროპლანები.

——

საბერძნეთის მდგომარეობა მეტად გამოურკვეველი და თან კრიტიკულია. მას შემდეგ, რაც მიტილინელებმა ვენიზელოსი დეპუტატად აირჩიეს, მას ათინაში ბევრი მომხრე აღმოუჩნდა, რომელნიც ვენიზელოს პრემიერობას პირდებიან. რუსული გაზეთების გადმოცემით, მოსალოდნელია ახლანდელი კაბინეტის (სკულუდისის) გადადგომა და შეთანხმების სახელმწიფოთა ერთგული მომხრის ვენიზელოსის ხელმეორედ არჩევა.

——

ბულგარეთის ჯარის მოძრაობის მხრივ ბერძნები არავითარ საფრთხეს არა ხედვენ.

——

ჩრდილოეთის ზღვაში გერმანელების ნაღმმა ჩასძირა ბრიტანიის ახლად შეიარაღებული გემი „ემგორინი".

——

რაც დრო გადის მით უფრო თანდათან აშკარავდება სამხრეთ შეერთებულ შტატების ომის წყურვილი. 2 თიბათვეს (ახ. სტ.) პალატის კრებულმა მიიღო კანონპროექტი სამხედრო საზღვაო ფლოტის გაძლიერებისა, და ამისთვის შესაფერი სესხიც გაადებინა ხაზინას. ფლოტს მოემატება 5 ჯავშნიანი კრეისერი, 4 მჭვერავი კრეისერი, 10 გამანადგურებელი, 50 წყალქვეშა ნავი და 130 ჰაეროპლანი.

——

შვეციის პალატაში აქტოვისტებისა და სხვა ნაციონალ ლიბერალების მეთაურობით შეკითხვა აღძრეს, რათა გაღებულ იქნას 542 მილ. კრონი, სახელმწიფოს თავდაცვის საჭიროებისთვის სოციალ დემოკრატები ამ საკითხს მხარს არ უჭერენ.

——

ნორვეგიის პარლამენტმა 8 მილიონი კრონი გადასდვა ნორვეგიის ნეიტრალობის უზრუნველსაყოფად და მის აუცილებელ ხარჯების დასაფარავად.

——

დანიაში მოხდა დიდი აფეთქება სხვათა შორის, აფეთქდა თოფის წამლის ვეებერთელა საწყობი.

——

ბუქარესტიდან იუწყებიან: რუმინიაში და განსაკუთრებით კი მოლდავიაში წელს მეტად ცუდი მოსავალი იქნებაო. ეს მოვლენა ძლიერ აფიქრებს ცენტრალ სახელმწიფოთა კავშირს, რადგან მათ რუმინიის ხორბლის დიდი იმედი ჰქონდათ.

——

სტოკჰოლმიდან მოსულ ცნობათა მიხედვით, გერმანიაში გაუწვევიათ 1897 დაბადებული ახალგაზდები.

——

რეიხსტაგში საომარ ბიუჯეტს გერმანიის სოციალდემოკრატიამ ხმა არ მისცა

——

რუსეთის დასავლეთის ასპარეზზე ავსტრო გერმანელებმა დიდძალი ჯარი გადმოიყვანეს.

——

გერმანელები სალონიკს ბულგარეთს პირდებიან.

——

ათინაში შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა სკულუდისი ინახულეს და ესაუბრენ თანამედროვე საკითხების შესახებ. სკულუდისს გერმანოფილობას სწამებენ.

——

ბავარიაში გერმანიამ შინაური ცხოველების რეკვიზიცია მოახდინა. მცხოვრებლებს უტოვებენ მხოლოდ ხარებს. ვისაც ორი ძროხა ჰყავს, იმას ერთს ართმევენ.

——

„ბირჟ. ვედ." სიტყვით, ლიტვაში დიდი შიმშილობა ყოფილა. ქალაქებში კარტოფილის გარდა სხვა ვერაფერს იშოვით სხვა და სხვა სავაჭრო და სასადილოები დაკეტილია. შიმშილისაგან. ბევრი იხოცება. პურის შემოტანას არსაიდან არ ელიან.

——

პოლონეთის უნივერსიტეტებში სწავლა უკვე დამთავრდა. ზოგიერთი მომზადებული სტუდენტი ახლა „პოლონეთის საკითხს" არკვევს.

——

ამ დღეებში ქ. პარიზის მუნიციპალურ საბჭოში მარკიზ ველეპოლსკიმ სიტყვა წარმოსთქვა პოლონეთის საკითხის შესახებ. ველეპოლსკის სიტყვას საფრანგეთის სხვა და სხვა გავლენიან გამოჩენილ პირებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. სიტყვაში, სხვათა შორის, ნათქვამი ყოფილა, რომ პოლონეთის აღდგენა და მისი გაერთიანება, აუცილებლათ უნდა შეასრულონ შეთანხმების სახელმწიფოებმა პოლონეთს ისეთივე მზრუნველობა და დახმარება უნდა გავუწიოთ, როგორიც ჩვენ გვმართებს ბელგიისა და სერბიის მიმართ!.

——

სამხედრო ავტორიტეტების აზრით, გალიციაში დიდი ბრძოლის დაწყება გავლენას იქონიებს იტალიის ასპარეზზე და აიძულებს ავსტრიას ჯარები რუსეთისკენ გადმოიყვანოსო.

## სამხედრო მიმოხილვა

იმ სინამდვილემ, რომ ყველა ასპარეზზე დღეს ბრძოლა გაცხოველდა, მებრძოლ სახელმწიფოთა ჯარები ერთმანეთს ეკვეთენ და დაუნდობლათ ჟლეტენ და ანადგურებენ საუკუნოებით შექმნილ კაცობრიობის ნამოქმედარს, ბევრს აფიქრებს, რომ გადამწყვეტი ბრძოლა დადგაო.

ბევრს სჯერა, რომ გაზაფხულის ბრძოლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვსო. ტყუილი ნუგეშია.

ბოლო ჯერ კიდევ არ უჩანს ამ ბრძოლას.

გაზაფხულის ბრძოლები დაიწყო გერმანეთმა, მანვე განაგრძო და ბოლოს კი მოკავშირენი გამოვიდენ რუსეთის სახით.

რაკი ინიციატივა გერმანელებისა იყო, მაშასადამე, მიზანიც მათვე უნდა დაესახათ.

მიზანი კი ცხადია: მოკავშირეთა საერთო შეტევის გეგმის გაბათილება, ე. ი. დამარცხების თავიდან აცილება, რადგანაც მოკავშირეების საერთო მძლავრ შეტევას, ეჭვი არაა, ვერ გაუძლებდა.

მაგრამ, თუ თავის დასაცავად არ შესწევდა ძალა, როგორ შესძლებდა შეტევას გერმანეთი? ამის გასაგებათ საკმარისია გადავშალოთ სამხედრო მეცნიერების კაბადონები. სამხედრო მეცნიერება გვეუბნება, თუ გინდა მოწინაამდეგის დამარცხება,—დაქსაქსე მისი ძალები, დაარღვიე მათი მთლიანობა, თავს დაესხი მოულოდნელად ცალკ-ცალკე, აურიე მისი მდგომარეობა, მოაწყე შფოთი და უწესრიგობა მტრის ზურგს უკან, მიაყუჩე მისი ყურადღება, დაუჭიმე ნერვები და სრული გამარჯვება შენს ხელშიაო.

გერმანეთი ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა მუდამ და ნამეტნავად ამ ბოლო დროს.

თუ გავიხსენებთ უკანასკნელ ოთხ—ხუთ თვეში მომხდარ ფაქტებს, ჩვენ დავრწმუნდებით ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში: ვერდენის დაუთავებელი დ მომაბეზრებელი ბრძოლები, ირლანდიის ამბები, შეტევა ჯერ ოსმალეთის, მერე იტალიის, ინგლისისა და სალონიკის ბრძოლის პირებზე, ზღვაში გამოსვლა და კიტჩენერის დაღუპვა, აი გერმანელთა ცდის ნაყოფი.

როგორც ვხედავთ, გერმანეთი მხოლოდ თავიდან იცდენს კისერზე მოქნეულ მახვილს, ხოლო მისი მახვილის მომავალი მოქნევის კვალს კი დღესაც ვერ ვამჩნევთ

შვერელი.

## საფრანგეთის პრესა.

გაზეთი „მატინი" სწერს:

ის საკვირველი სიჯიუტე, რომლითაც გერმანელები ვერდენს მოადგენ, ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევენ ისინი ამ სიმაგრეს.

საჭიროა საფრანგეთის მხედრობამ იცოდეს, რომ ის არ იბრძვის მხოლოდ მიწისათვის, ან და საბოლოო გამარჯვების სახელისათვის, არამედ ის თავის სისხლით იცავს თავის სამშობლო ბედს.

ყოველივე წუთი ვერდენის თვეებისა, ყოველივე ბელტი მიწისა წარმოადგენს პატარა ნაწილს საფრანგეთის ეროვნულ არსებობისა. თითოეული ბედნიერი ნაბიჯით თითოეული ტანჯვით ვერდენის არმია აყალიბებს მშვიდობიანობისა და განთავისუფლების პირობებს. ისინი ამ წუთში არიან ნამდვილი მუშაკნი მომავალის შექმნისა, ზარბაზნის ყუმბარით, თოფით და ხიშტით ისინი ნელ-ნელა ანგრევენ „დიდი გერმანიის გეგმას".

კაიზერმა გადაწყვიტა სცადოს თავის უკანასკნელი ძალაც და ვერდენთან მებრძოლ მხედრობას მიანდო, გერმანიის თავმოყვარეობა, ბედი და მისი უზენაესი სურვილების განხორციელება. თუ მათი იერიში აქ არ გამართლდა, მაშინ დაიმსხვრევა მთელი პან-გერმანული სისტემა და მისი ტანი მიწაზე გაიშლება მას იმედად მხოლოდ ის-ღა დარჩება, რომ შეიძლება გააგრძელოს უკანასკნელ წუთებამდი თავის ტანჯვისა.

ომის დაწყებიდანვე გერმანელებმა ს[illegible] რდათ ვერდენი [illegible] პრინცის დანიშვნა აქ მთავარსარდლათ ეს შემთხვევით არ მომხდარა, ის იქნა დანიშნული მისთვის, რომ მომავალ იმპერატორს წილად ხვედროდა სახელი დიდ მნიშვნელოვან გამარჯვებისა. ბელგიის გადალახვა იყო ერთგვარი ხერხი. საფრანგეთის საბოლოო დამარცხება კი მხოლოდ ცენტრის გარღვევით შეიძლებოდა. თვით მათი დიდი სტრატეგი ფონ მოლტკე ამ აზრისა იყო.

საფრანგეთის მხედრობის უმთავრესი ძალა იყო და ეხლაც არის სამხრეთის საზღვარზე, იმ საზღვარზე რომელიც ხალხმა „რკინის საზღვრის" სახელით მონათლა. ამ ძალის უმაღლესი გამოხატულება ვერდენია, ეს არის ის კბილი, რომლითაც ჩაჰფრენია საფრანგეთის მხედრობა გერმანიის ცოცხალ სხეულს.

ვერდენი ძველი დროიდან ცნობილია ისტორიაში. ვერდენი არის ის ღერძი, რომლის ირგვლივაც ტრიალებდა ბედი ფრანგთა და გერმანელთა ისტორიის მსვლელობაში. ვერდენი ის სახელია, რომელსაც იპოვნით ამ ორი ერის ისტორიის ყოველ გვერდზე.

გეოგრაფიულად, ვერდენი აძლევს გერმანელებს იერიშისათვის ორ დიდ უპირატესობას: ეს სიმაგრე ბატონობს მაასის ვაკეზე და არის შემაერთებელი კვანძი საფრანგეთის უმდიდრესი ორი პროვინციისა. ფრანგები გერმანიის მონობიდან თავს ვერ დაიხსნიან, თუ ეს ადგილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე არ დაიცვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში წყდება კავშირი ლილსა და ნანსის შუა, ესე იგი საფრანგეთის მხედრული და ინდუსტრიალი ძალა ორად იყოფა

ფრანგებმა რომ ვერდენის გადმოღმა გერმანელები გადმოუშვან, ეს იმას ნიშნავს, რომ თვითვე გააბათილონ 1914 წლის დიდი გამარჯვება მდინარე მარნზე.

ვერდენი მარტო გეოგრაფიულად არ იზიდავს გერმანელებს. როგორც ვიცით, ვერდენი არის გული იმ მინერალურ აუზისა, რომელსაც ბრიეს აუზს უწოდებენ. ენჟერანის აზრით, გერმანელებს არ შეუძლიათ ბატონობა ქვეყნიერების დიდ ბაზრებზე, თუ მათ ეს აუზი ხელთ არ იგდეს. გერმანეთის სპეციალისტებიც გამოტყდენ, რომ ჩვენ ვერ შევძლებდით ომის აქამდი გაგრძელებას, ლოტარინგიის მადნეულობა რომ არა გვქონოდაო. ისიცა სთქვეს, რომ სანამ ლითონთა ამ მაღაროებს დაყურებს ვერდენის ზარბაზნები, მანამდის ეკონომიური ბედიც ამ აუზის, ამ ზარბაზნების პატრონთა ხელში იქნებაო.

საფრანგეთის მხედრობამ და ხალხმა კარ-

## ქალთა საკითხი.

ამ დიდი საკითხის პოლიტიკური მხარე თეორიულად უკვე გადაწყვეტილია—და, ვფიქრობ, თვით პრუდონიც კი, ახლა რომ ცოცხალი ყოფილიყო, შეიცვლიდა თავის აზრს.

მაშინ, როდესაც ევროპაში ამ საკითხის გამო პოლიტიკური თეორეტიკოსები ერთმანეთს ედავებოდენ, ახალ ქვეყნებში, ე. ი. ავსტრალიასა და ჩრდილო ამერიკის ზოგიერთ შტატში, ქალთა პოლიტიკური თანასწორობა პრაქტიკულად განახორციელეს და აზრი საქმედ გარდააქციეს.

და დამტკიცდა, რომ ქალთა მონაწილეობამ პოლიტიკურ ცხოვრებაში განმაკეთილშობილებელი გავლენა იქონია.

ამიტომ ამ რეფორმის ევროპაში და შემდეგ ჩვენშიაც ახლობელ მომავალში განხორციელება აუცილებელია.

ერთი სიტყვით, საკითხის თეორიული ნაწილი სავსებით ამოწურულია და საქმე ახლა მხოლოდ პრაქტიკულ განხორციელებას ელის.

ამისთვის კი, რასაკვირველია, საჭიროა პროპაგანდა, ქადაგება, მეტადრე იქ, სადაც ცოტაა განათლება, ტრადიციული რწმენა და ჩვეულებანი კი ჯერ კიდევ შეურყეველია.

და, ცხადია, ეს საქმე უმთავრესად თვოთონ ქალებმა უნდა იდვან თავს, რადგან თავის განთავისუფლება მათ მხოლოდ საკუთარი შრომითა და მოღვაწეობით შეუძლიათ.

შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ერთ დებულებაზე, რომელიც მეცნიერების მიერ უკვე აღსარებულია.

ქალთა უუფლებობის სათავე—მონობაშია. მამაკაცმა დაიმორჩილა დედაკაცი, როგორც ფიზიკურად უფრო სუსტი არსება.

ცხადია კი, რომ საოჯახო საჭიროებათა და მეტადრე მომავალ თაობათა აღსაზრდელად აუცილებელი იყო აგრეთვე ცოლ-ქმრის თანამშრომლობა.

მაშასადამე, ოჯახი ქალისა და კაცის თანამშრომლობაზეა დაფუძნებული. მაგრამ თანამშრომელთა შორის გაბატონდა ის, ვინც უფრო ძლიერი იყო.

აქედან ჩანს, რომ მამაკაცის უფლებრივი უპირატესობა—უხეშ ძალზეა დაფუძნებული.

მაგრამ თანამედროვე, დემოკრატიული მიმართულება მხოლოდ იმ უფლებას აღიარებს, რომელსაც სამართლიანობა უდევს საფუძლად.

და, ჩვენ თუ ქალთა პოლიტიკურ თანასწორობას აღვიარებთ, მიტომ კი არა, რომ ვანგრევთ ოჯახსა და უარვყოფთ ქალისა და კაცის საოჯახო თანამშრომლობას, არამედ მხოლოდ მიტომ, რომ უარვყოფთ ძალმომრეობას, ე. ი. მამაკაცისაგან დედაკაცის დაჩაგვრას.

ამიტომ, ჩვენი აზრით, ქალმა ყოველგვარი უფლება უნდა მოიპოოს: საკანონმდებლო, სამოსამართლო, საადმინისტრაციო, სამოქალაქო და სხ.

იმავე დროს მათს განთავისუფლებას სამხედრო მოვალეობისაგან ყოვლის უწინარესად ახალთაობის კვება და აღზრდა მოითხოვს.

ქუთათურ მკითხველს უნდა ახსოვდეს ამ რამდენიმე წლის წინეთ კოგანის მიერ ქალთა საკითხის შესახებ წაკითხული ლექცია: უნდა ახსოვდეს მაშასადამე ლექტორის იდეა, ქალთა საკითხი სოციალურ საკითხთან ერთად გადაწყდება. როდესაც გაერთიანებული სოციალისტური წესწყობილება დამყარდება, ბავშებს დიდ ქარხნებში აღზრდიან, პატარა ოჯახს მნიშვნელობა დაეკარგება და ქალი თავისუფალი შეიქნებაო.

რუსეთის გამოჩენილი მწერალი მიხაილოვსკი ეუბნებოდა ქალებს: მოითმინეთ; მალე დიდი, საერთო სოციალური საკითხი გადაწყდება, მაშინ კი ქალთა საკითხიც გადაწყვეტილი იქნებაო.

ცხადია, რომ არცერთი ხსენებული აზრი შესაწყნარებელი არ არის, ჯერ ერთი, მიტომ, რომ ქალთა საკითხი – განსაკუთრებული საძიებელია და მუშათა საკითხი მას სავსებით ვერ ამოსწურავს, და, მეორე, მიტომ, რომ მომავალი სამოთხე, სოციალიზმი—კიდევაც რომ ოდესმე განხორციელდეს, ეს ვერაფერი ნუგეშია დღევანდელი ქალისათვის

მაშასადამე ხსენებული აზრი—საკითხის უტოპიურ გადაწყვეტას წარმოადგენს, რომელსაც არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს.

მეორე მხრით, ვერც მით ანუგეშებს ქალი თავს, ოდესმე პოლიტიკური უფლება მომენიჭება და თავისუფალი ვიქნებიო. და დღევანდელი საჭირბოროტო საკითხი ის არის, როგორ შეუძლია ქალს თავი დღესვე, დღევანდელ პირობებშივე გაითავისუფლოს?

ძნელია პოლიტიკური უუფლებობა, მაგრამ კიდევ უფრო სჩაგრავს კაცს ეკონომიური მონობა. და ქალთა თავისუფლებას უმთავრესად—სწორედ ეკონომიური განთავისუფლება უნდა დაედვას საფუძვლად.

ამისთვის კი არ კმარა მარტო პოლიტიკური ბრძოლა, არამედ საჭიროა კიდევ ყოველდღიური, მუდმივი შრომა.

მეტადრე ჩვენში ვერ მოუშორებიათ თავიდან ქალებს ძველებური, აზიური წესი და ადათი და ვერ მოუპოვებიათ ეკონომიური დამოუკიდებლობა.

განვიხილოთ ამ მხრით სოფელი. ძველად ქართველი ქალი ართავდა, ქსოვდა და ჰკერავდა. მაგრამ ეს ხელსაქმე საქარხნო მრეწველობამ მოსპო ქალმა კი სამაგიერო ვეღარა გაიჩინა-რა და მზარეულის და წვრილ ფეხი საქონლის მომშენებლის როლს-ღა ასრულებს.

მაგრამ უბედურობა ის არის, რომ, როგორც რიგია, წვრილ-ფეხის მოშენებასაც ვერ აწარმოებს და, მაგალითად, ქათმის მოშენებისაგანაც არაფერი მოგება რჩება, რადგან თანამედროვე, მეცნიერული მოშენების წესისა და რიგის არა გაეგებარა.

კალათის წნვა სხვაგან ყველგან ქალის საქმედ არის აღსარებული. ჩვენში კი, ამ სასარგებლო ხელობას არავინ მისდევს.

ხილის გაშრობა დიდ სარგებლობას მოუტანდა ჩვენს მხარის და, ეს სამეურნეო წარმოება რომ ქალს ედვა თავს, ჩვენი ეკონომიური კეთილდღეობა გაათკეცდებოდა. დღეს კი, რადგან ქალმა ამ ხელობის არა იცის-რა და მამაკაცს ათასი სხვა მძიმე საქმე აწევს კისერზე, აუარებელი სიმდიდრე უსარგებლოდ გვეკარგება.

დიდი მოგებავე დაგვრჩებოდა, ქალებს რომ წნილის კეთება სცოდნოდათ.

რძის, ყველის, კარაქისა და სხ. კეთება—ქალის საქმეა. მაგრამ არ იქნა და არა: ვერ ვისწავლეთ ბალახის თესვა და ვერ მოვაშენეთ კარგი ჯიშის მეწველი საქონელი.

მატყლის რთვა და სქოვა მხოლოდ მთიელთა შორის შენახულა და ისიც არა ყველგან, სადაც კი ამ ხელობას გარემოება ხელს უწყობს.

არ ვიცით ნოხის ქსოვა. ქალის ქუდს, მოსახვევს, მოსაბურავსა და სხ. ჩვენში უცხოელები აკეთებენ, ქართველმა ქალებმა კი ამგვარი ხელობის არა იციან რა.

საბავშო სათამაშოები უცხო ქვეყნებიდან მოგვდის და აუარებელ სიმდიდრეს გვაცლიან ხელიდან, თუმც ეს მომგებიანი ხელობა ჩვენს ქალებსაც შეეძლოთ სცოდნოდათ.

არ არის ჩვენში ისეთი საზოგადო სამზარეულოები, რომ ოჯახის პატრონმა, რომელსაც საკუთარი სამზარეულო არ გააჩნია, შეჰამადი შეუკვეთოს, ამგვარ სამზარეულოთა მოწყობა კი—ქალთა საქმეა.

არ არის ქალთა ისეთი ამხანაგობა, რომ მისი წევრები კერძო ოჯახებში განსაზღვრულ დროს სხვადასხვა წვრილმან მოვალეობას ასრულებდენ იმ პირობით, რომ დანარჩენ დროს საკუთარ ბინებზე ცხოვრობდენ.

და უმთავრესი ჩვენი უბედურობა ის არის, რომ ქალთა პროფესიური, სახე-

ვად იცის, რომ ვერდენს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისთვის. ომის პირველ დღეებში გერმანელების უპირველესი მისწრაფება იყო ვერდენის აღება, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა მაშინ.

გერმანელთა სამხედრო ავტორიტეტები თავიანთ სამხედრო მიმოხილვაში აშკარად აღიარებენ შემდეგს: „ბავარიისა და პრუსიის კრონპრინცებს 1914 წ. აგვისტოში რომ მოეხერხებინათ ვერდენის აღება, ყოველ ეჭვს გარეშეა, გერმანიის არმია ერთის ნახტომით პარიზთან გაჩნდებოდა და ხელში ჩაიგდებდაო". მაგრამ ტახტის მემკვიდრეები ვერდენს მიადგენ და აქამდისაც იქ არიანო.

ამგვარ აღსარების შემდეგ ყოველივე უფრო ნათლად გვეჩვენება, თვით კაიზერის სიტყვებიდან დავინახავთ, თუ რა გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევს ის ვერდენის აღებას. როდესაც გერმანიაში ხმა გაავრცელეს, ვითომ ვერდენის აღება რამოდენიმე დღის საკითხიაო, კაიზერმა შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნა ბრანდებურგის ლანდტაგს: დიდად მოხარული ვარ, რომ ბრანდებურგელებმა ერთხელ კიდევ მოგვცეს მაგალითი ვაჟკაცობისა და სიკვდილამდი ერთგულობისა, ვერდენის კარებთან. იმ ვერდენისა, რომელიც ითვლება უძლიერესს სიმაგრეთ და რომელსაც ჩვენა ვთვლით ყველაზედ მნიშვნელოვან მტრად! ამის შემდეგ გერმანიაში ყველა იმეორებს, რომ ვერდენის აღება ომის გათავების მომასწავებელია ჩვენ სასარგებლოთო. ამის გამოა, რომ ყოველი გამარჯვება ფრანგებისა ვერდენთან, რაც უნდა პატარა იყოს იგი, გერმანელების მხრივ დიდ იერიშებს იწვევს.

ორივე მხრიდან დიდი ყოველმხრივი მომზადება, განსაკუთრებით კი მთავარსარდალთა დიდი ცოდნა და დაკვირვებაა. საფრანგეთის უმაღლეს მთავარსარდალს კარგად ესმის, რომ ვერდენთანაც, როგორც მდინარე მარნზე, ან უნდა გაიმარჯვოს, ან და დაიღუპოს.

საგულისხმო და საფრანგეთის მაჯის ცემის მაჩვენებელია ერთი განკარგულება ჟოფრისა ვერდენის არმიისადმი: „მე გავეცი ბრძანება, რომ მაასის მარჯვენა ნაპირთან უკან არავინ დაიხიოს. ის უფროსი, რომელიც უკან დახევის ბრძანებას გასცემს, საველე სამართალში მიეცემაო".

შეადარეთ კაიზერის და ჟოფრის ტელეგრამები და თქვენ დაინახავთ იმ პირებს, რომელნიც ქმნიან ხალხთა ისტორიას.

## რუსული პრესა.

სათათბიროში „გლეხთა უფლებრივი გათანასწორებისა და შეზღუდვის" საკითხის განხილვის გამო პეტროგრადელ კადეტების „რეჩი", სხვათა შორის, სწერს:

„ეს საკითხი კარგა ხანია წამოყენებულია, იგი კიდეც „დაავადმყოფდა", ჩვენ[illegible]არ ვამბობთ, რომ მის, ცხოვრებაში გატარება სრულიად გააუმჯობესებდეს გლეხების უფლება ცხოვრებას, მაგრამ რეფორმებს მოკლებული რუსეთი ვალდებულია ამ საკითხის განხილვას დიდის სიხარულით შეხვდეს და იგი დაუყონებლივ გადასწყვიტოს, რომ მით ოდნავ სული მოათქმევინოს მშრომელ გლეხობასაო".

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

სახალხო სეირნობა. დღეს ქალაქის სასეირნო ბაღში გაიმართება სახალხო სეირნობა, რომლის წმინდა შემოსავალიც გადაიდება ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა ბიუროს სასარგებლოთ.

✦ კავკასიის სანოვაგის მომწყობი კომიტეტის რწმუნებული ატყობინებს ადგილობრივი კომიტეტის რწმუნებულთ, დღეიდან ნება ეძლევა ყველა ადგილობრივ კომიტეტს პირდაპირ გამოიწეროს ცენტრალური კომიტეტისაგან შაქარი.

✦ დღევანდელი სიძვირის გამო, დ. ხონის მეეტლეებმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე ნიხრის გადიდების შესახებ.

✦ ა. ანანოვმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, მიეცეს ხუთი ვაგონი ქვანახშირის მოსატანათ სად. აჯამეთში ტყიბულიდან.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა იარაღის ნება დაურთველათ ტარებისათვის დააჯარიმა ზუგდიდის მაზრის მცხოვრები ილარიონ კანჯარია 10 მანეთით ან 3 დღის დატუსაღებით.

✦ ქუთ. დეპუტატთა საკრებულო უკვე შეუდგა იმ აზნაურების სიის შედგენას, რომელთაც უნდა გადაიხადონ დეპუტატთა საკრებულოს შესანახათ საზოგადო კრებისაგან დადგენილი ფული.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნ. „ნაკადულის" მორიგი ნუმრები მოზრდილთა და მცირეწლოვანთათვის № 4, № 8. ჟურნალი შინაარსიანია.

✦ ნიკო ნიკოლაძის საქმე. გუშინ არ შესდგა, რადგანაც ექსპერტებმა ვერ მოათავეს თავის აზრის გამოთქმა მინდობილ საქმეზე. სხდომა დღეს საღამოს 7 საათისთვის გადაიდვა.

✦ ქუთაისის ქალაქის საბჭომ წარსულ წელს დაადგინა ქალაქის ხარჯით დაენიშნოს ქართული გიმნაზიის 4 კლ. მოწაფეს ნიკოლოზ გიგინეიშვილს სტიპენდიათ სწავლის ფასი სახ. სათათბიროს წევრად ნამყოფის აწ განსვენებულის თ-დ ვარლამ ლევანის ძის გელოვანის სახელზე ® ამის შესახებ უკვე აცნობეს სამოსწავლო ადმინისტრაციის საწინააღმდეგო ხომ არაფერი ექნება პადაგოგიურ საბჭოსაო. ამის გამო გიმნაზიის მართველი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, ეს სტიპენდია უნდა დაენიშნოს მეექვსე კლასისს მოწაფეს გრიგოლ ჩიქოვანს, რომელიც იზრდებოდა განსვენებულ გელოვანის ხარჯით და მისი სიკვდილის შემდეგ დიდ გაჭირვებაში იმყოფებაო.

✦ ფქვილის ვაჭარმა მ. ა. მოშიაშვილმა შემდეგი განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში: „პატივი მაქვს ვაუწყო ქალაქის თვითმართველობას, რომ ავადმყოფობის გამო ვსტოვებ ქ. ქუთაისს და მივდივარ როსტოვს, ამიტომ ფქვილის ვაჭრობას თავს ვანებებ ქუთაისშიო".

კვირას, 29 მაისს, გაიმართება ქუთაისის ქალაქის ბაღში დიდი სახალხო

სეირნობა

მასწავლებელთა კავშირის სასარგებლოთ.

2—2

ხელის მომწერ. საყურადღებოდ

კანტორა სთხოვს, ხელის მომწერლებს, დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა

## ს ა ლ ა მ ი

მასწავლებელთა კავშირს.

ქართველმა საზოგადოებამ იცის, რომ ამ ორიოდე თვის წინად ქ. ქუთაისში დაარსდა დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირი.

ვინც ახლოს იცნობს ჩვენი სახალხო სკოლების მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობას, იგი დიდის ხალისითა და თანაგრძნობით მიეგებება ამ კავშირს.

ვინ არის სახალხო მასწავლებელი?

სახალხო მასწავლებელი ეს ის პიროვნებაა, რომელმაც უნდა აღგვიზარდოს ქვეყნის გამაბედნიერებელი მომავალი თაობა. მაგრამ როგორის გულით უნდა ასწავლოს ბავშვებს ისეთმა მასწავლებელმა, რომელსაც თვითონ შია, სახლში წვიმა ჩამოუდის, ცოლშვილი სიცივით ეხოცება, და საჭირო წიგნი და ჟურნალ-გაზეთობა ვერ უშოვია!

დიაღ, ჩვენი სახალხო მასწავლებელი ნივთიერად მეტად აუტანელ მდგომარეობაშია.

ჩვენ თუ ჩვენი ქვეყნის მომავალი გვწამს, უსათუოდ უნდა მივეშველოთ იმ მასწავლებელს, რომელმაც ჩვენი მომავალი თაობის აღზრდას საძირკველი უნდა ჩაუყაროს.

მაშ, სალამი მივუძღვნათ მასწავლებელთა დამხმარე კავშირს და დღეს ქალაქის ბაღში დავესწროთ მის სასარგებლოდ გამართულ სეირნობას და მით ჩვენი წვლილიც შევიტანოთ მასწავლებელთა კავშირის სალაროში.

ი. დ—ძ.

## ნიკო ნიკოლაძის საქმე

### 27 მაისის სხდომა.

ამ დღეს სასამართლოში გამოცხადდა ნაფიცი ვექილი დ. ა. კარაბჩევსკი.

ჩვენებას ართმევენ ფოთის ქალაქის გამგეობის წევრს ჯალალოვს, რომელიც ამავე დროს აწარმოებდა ქალაქის მართველობის ფინანსიურ მხარეს. მას ორჯერ დაკლებია ფული კასაში და ორივეჯერ მისთვის დახმარება აღმოუჩენია „ბუნგე პალაშკოვსკის" ფირმას ნიკო ნიკოლაძის შუამდგომლობით. ერთ შემთხვევაში კასაში საჭირო იყო 120,000 მანეთი, რადგანაც ხშირათ ქალაქის თვითმართველობის კასიდან ქალაქისავე მოსამსახურეებს გაჰქონდათ ფული ავანსათ. რევიზიის დროს 100,000 მანათად დავაგირავე საურთიერთო ნდობის ბანკში ჩემი მამული და ოცი ათასი მანეთი მინდოდა მეთხოვა ნაფთის მწარმოებელ მანთაშევისათვის, მაგრამ ბ. ნ. ნიკოლაძის რჩევით მივმართე „ბუნგე პალაშკოვსკის" ფირმას.

ბრალმდებელი—ვის სახელზე მიიღე ფული?

ჯალალოვი: ფული მოვიდა ნიკოლაძის სახელზე ჩემდა გადმოსაცემათ

ბრალმდებელი—ბანკში ვინ შეიტანა ეს ფული, თქვენ, თუ ნიკოლაძემ?

ჯალალოვი: ჩემის თხოვნით, ნიკოლაძემ შეიტანა.

ბრალმდებელი—სრულად შეიტანა 20,000 მანეთი!

— სრულად.

ბრალმდებელი—თქვენ რომ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებს ავანსათ აძლევდით ფულს, მაშინ ნიკოლაძე ხომ არ იყო დავალიანებული?

— არა.

დამცველი—მაშ, რად სთქვით გამომძიებელთან.

მოწმე—მე ასე არ მითქვამს.

დამცველი—როდესაც ფული შეავსეთ, განაგრძობდით ქალაქის თვითმართველობაში სამსახურს, თუ არა?

მოწმე: მის შემდეგ მე სამსახურს თავი დავანებე.

დამცველი აღნიშნავს ჯალალოვის ჩვენებაში წინააღმდეგობას.

მეორე მოწმე ფოთის საურთიერთო ბანკის ბუღალტერი გიგინეიშვილი.

ბრალმდებელი: რამდენი იყო ჯალალოვის ვალი?

მოწმე: კარგათ არ მახსოვს, მგონი, 70 ათასი მანეთი იყო.

ბრალმდებელი: არ გახსოვთ ვინ რამდენი ვალი შემოიტანა ბანკში, ან ვისზე რამდენი დარჩა?

მოწმე—მე არ მახსოვს. ჩვენს ბანკში დიდი ოპერაცია არის, ვიცი მხოლოდ, რომ ნიკოლაძემ შემოიტანა 20,000 მან. აქედან 17000 მ. ჯალალოვის ვალში გადაირიცხა და 3,000 მ. კი, ჯალალოვისავე თხოვნით, მღ. მაჭარაშვილის ქვრივს გადაეცა.

დამცველი: როგორ შეიტყვეთ ჯალალოვის ფულის გაფლანგვის ისტორია?

მოწმე: ქალაქში დადიოდა ხმები.

დამცველი: ეს 20,000 მან. ვის გადაეცა?

მოწმე: ბანკს.

მოწმე მაჭარაშვილის ქვრივი.

ბრალმდებელი: იცით რამე 3000 მან. ვექსილის შესახებ?

მოწმე: კი, ჩემს ქმარს უწერია ხელი. ეს ჩემს ქმარს დასჭირდა ინჟინრების მისაცემათ, როდესაც რკინისგზა გაყავდათ სუფსასა და ფოთს შუა. ჩემმა ქმარმა ეს ფული სთხოვა ჯალალოვს, მაგრამ იგი არ დათანხმდა, სანამ ვექსილზე ნიკოლაძემ ხელი არ მოაწერა. ეს ფული ჩემმა ქმარმა ინჟინრებს მისცა.

ბრალმდებელი: ვინ დაიხსნა ეს ვექსილი?

მოწმე: ნიკოლაძემ.

ბრალმდებელი: გამომძიებელთან კი ნათქვამი გაქვთ, ეს ფული ჩემმა ქმარმა მისცა ნიკოლაძესაო.

მოწმე; მე რუსული არ ვიცი და შეიძლება გამომძიებელი შესცდა.

დამცველი: ხელს უწყობდა თქვენი ქმარი ამ საქმის წარმოებას?

მოწმე: დიახ, მხურვალე მონაწილეობას იღებდა

შემდეგი მოწმე ექ. მიქაბერიძე. ეს 24 წელიწადია, სულ ქალაქის საბჭოს ხმოსნად ვარ და ძალიან კარგად ვიცნობ ქალაქის საქმეებს, და ნავსადგურის აშენების ისტორიას.

თავჯდომარე: რა იცით ჯალალოვის მიერ ფულის გაფლანგვის შესახებ?

მოწმე: ქალაქში ხმა გავრცელდა ჯალალოვის მიერ ფულის გაფლანგვის შესახებ. სამწუხაროთ, ის ამ დროს ქალაქის კასას განაგებდა. მალე ეს ხმა ფაქტად იქცა. როდესაც ქალაქის თავი დარწმუნდა ამ საქმეში, დიდათ აღშფოთდა, გვინდოდა ოფიციალურ სასამართლოში გაგვესაჩივრებია, მაგრამ უმჯობესათ ვსცანით შინაურულათ მოგვეწყო საქმე. ნიკოლაძეს ვსთხოვეთ ხმოსნებმა დაეთმო ჩვენთვის ეს საქმე, და ისიც დავითანხმეთ.

დამცველი: რა გავლენა ჰქონდა ნიკოლაძეს ხმოსნებზე.

მოწმე: ნიკოლაძეს მთელი ქალაქი დიდ პატივს ცემდა; ხმოს ნებზე რაიმე გავლენის მოხდენას თავის დღეში არა სცდილობდა, რომ პორტის აგების საქმე გადაეცათ „ბუნგე პალაშკოვსკის" ფირმისა-

---

ლოსნო სკოლები არა გვაქვს.

მაგიერად, ილოცხლეთ, აუარებელი ქალთა პროგიმნაზია და გიმნაზია მოგვეპოებოდეს! მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სასწავლებლებში თითქმის არაფერს ასწავლიან ისეთს, რაც ცხოვრებაში გამოსადეგია, და ძველებური, სქოლასტიკური მეთოდი მეფობს.

კითხულობენ და ზეპირობენ წიგნებს, და თვალსაჩინო მეთოდით არა სწავლობენ.

და, ცხადია, ამ გვარ სკოლებში ვერც გონებრივსა, ვერც ზნეობრივსა და ვერც ფიზიკურ განვითარებას ვერ იძენენ.

და, რაც დავთესეთ, იგივე მოვიმკეთ: აუარებელი „განათლებული" ქალი შეგვეძინა, მხოლოდ ერთობ მცირეა მათ შორის საზოგადო მოღვაწე

და ეს „განათლებული" ქალები ისევ მამაკაცებს ჰკიდიან ზურგზე, რადგან საკუთარი შრომით ლუკმა-პურის შოვნა უჭირსთ.

ერთი რამე მაკვირვებს. ბევრ ქალიშვილს, რომელსაც კი გიმნაზიის კურსი დაუსრულებია, შევკითხებივარ, გაქვს თუ არა სურვილი იტვირთო სოფლის მასწავლებლის მოვალეობა მეთქი, და არც ერთიისაგან დადასტურებითი პასუხი არ მიმიღია.

ჩვენს ახალგაზდა ნასწავლ ქალიშვილებს სოფლის მასწავლებლობა მეტადრე რომელ სამე ყრუ სოფელში ჭირად მიაჩნიათ. ყველა—ცენტრს, ქალაქს, ან რკინის გზის ახლოს მდებარე დიდ სოფელს, აწყდება. სოფელში კაცი გამოყრუვდება, სოფელი მოსაწყენია, სოფელში რა გამაძლებინებსო, აი ჩვეულებრივი პასუხი. და ქალაქში უსაქმოდ ჯდომა ურჩევნიათ სოფელში განათლების თესვასა და გავრცელებას!

ამგვარად ჩვენს „განათლებულ" ქალებს აკლიათ ის გმირული სული, რომელიც, მაგალითად, რუსის მასწავლებელ ქალებს სოფლისკენ იზიდავს. დიაღ, სამწუხაროდ. ჩვენს ქალებს იდეალად ჯერ კიდევ ნებიერი ცხოვრება დაუსახავსთ და ვერ შეუგნიათ, რომ მხოლოდ მძიმე შრომა და ეკლიანი გზის მარჯვე ხელით კაფვა შობს თავისუფლებას.

რათ გინდა განათლება, თუ კი ვერ მოიხმარ? და რათ გინდა ნიჭი, თუ კი უსარგებლოდ დამარხავ?

მაშ დროა შევიგნოთ, რომ აწ არსებული სქოლასტიკური საშუალო სასწავლებელნი ვერ მოამზადებენ ცხოვრებისათვის, ვერ აღზრდიან დამოუკიდებელ მუშაკ ქალებს. და, თუ გვსურს, რომ ერთი ნაბიჯი მაინც წინ გადავდგათ ამ მხრით, ქალთა საშუალო სასწავლებლის ტიპი ძირიანად უნდა შევსცვალოთ.

საქართველო—სამეურნეო ქვეყანაა და, ჩემი ფიქრით, ყოვლის უწინარესად ქალთა საშუალო სამეურნეო სასწავლებელნი უნდა დავაარსოთ. ჯერ ერთი მიტომ, რომ, თუ ქალი მხარში არ უდგია ნასწავლ მეურნეს, უკანასკნელის შრომა ამაოა; მეორე, ამგვარი ტიპის სასწავლებელი, როგორც თვალსაჩინო მეთოდზე დაფუძნებული, უფრო აკმაყოფილებს პედაგოგიურ მოთხოვნილებას; მესამე, საჭიროა, რომ ქართველი ქალი შრომასა და გარჯას შეეჩვიოს და თავი დაალწიოს სულისა და ხორცის გამანადგურებელ უმოქმედობას; და, მეოთხე, [illegible]აუცილებელია გამოვეთხოვოთ ბარემ იმ აზიურს ცრუ რწმენას, ვითომ სამეურნეო შრომა ქალს არ შეფერის და მხოლოდ მამაკაცის პრივილეგიას წარმოადგენს.

საჭიროა აგრეთვე ქალთა საშუალო სავაჭრო და სატეხნიკო სასწავლებელნი. დროა შევიგნოთ, რომ პატიოსანი შრომა სავაჭრო-სამრეწველო ასპარეზზე ქალისთვის არა თუ სათაკილო არ არის, არამედ სასახელოა.

და, როდესაც ქალთა აუარებელი სქოლასტიკური პროგიმნაზიისა და გიმნაზიის ნაცვლად იმდენივე საქალებო სამეურნეო, სავაჭრო, სატეხნიკო და საპროფესიო საშუალო და დაბალი სასწავლებელი გვექნება, სწორედ მაშინ მოიპოებს ქართველი ქალი დამოუკიდებელი ცხოვრების უნარსა და მაშასადამე დაალწევს თავს დამამცირებელს, დამოკიდებულ მდგომარეობას.

ეს კი ახლავე, ე. ი. დიდ სოციალურ რეფორმებამდის, არის შესაძლებელი, უკეთ რომ ვთქვათ, ქალთა შრომის ამგვარი ევოლიუცია იქნება საფუძველი, მომავალი დიდი სოციალური რეფორმები კი ამ ევოლიუციის დაგვირგვინება.

მაშ შეუდექით, ქალებო, თქვენი თავის განთავისუფლების საქმეს. თქვენი ბედი თქვენი ხელითვე შეგიძლიათ გამოსჭედოთ. ამ დიდ სოციალურ საკითხში ინიციატივა, თაოსნობა, თქვენ გეკუთნისთ. დროა მიჰყოთ ხელი საქმეს!

ვასილ წერეთელი.

თვის. თუმცა ამ ფირმას დიდი სახელი ჰქონდა საგზაო სამინისტროში. ალბათ იმიტომ, რომ, მიუხედავათ დიდის გაფიცვებისა, მუშაობა მაინც წესიერათ სწარმოებდა, რაც აიხსნება მოიჯარადრის მიერ მუშების დაკმაყოფილებით, რაც შეეხება ნავსადგურის სიკარგეს, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, ამ ნავსადგურში 50 სატრანსპორტო გემი მოთავსდა.

თავმჯდომარე კულიშერი: თქვენ იცნობდით ბუნ. პალაშკოვსკის ფირმას თუ ნიკოლაძის ზეგავლენით მოიწვიეთ?

მოწმე: ჩვენ იმას ვიცნობდით.

(შემდეგი იქნება)

## თევკელევის პროტესტის გამო.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გაზ. „კავ. სლოვო“-მ გვაუწყა, რომ სახელმწიფო სათათბიროს წევრი დეპ. თევკელევი წინააღმდეგია კავკასიის წარსულ საერობო წინასწარ თათბირზე „უმრავლესობის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო პროექტისა და რომ იგი (თევკელევი) ხსენებულ კანონპროექტს სათათბიროში განხილვის დროს მხარს არ დაუჭერსო.

რად ეწინააღმდეგებოდა ბ ნი თევკელევი „უმრავლესობის მიერ მიღებულ პროექტს?

როგორც სოლოლაკელთა და „კავკ. სლოვო“-ს ჯგუფი, ამ პროექტს დემოკრატიზმის უარყოფად სთვლიდა, პეტროგრადიდან გვემუქრება მისი მიღება ყოვლად შეუძლებელიაო.

რასაკვირველია, ყველას ნება აქვს თავისი საკუთარი აზრი გამოსთქვას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საკუთარი აზრის გამოთქმის დროსაც ადამიანი განყენებულად არუნდა ხელმძღვანელობდეს, არამედ იგი დაახლოვებით მაინც უნდა იყოს იმ საკითხის შესახებ, რომელზედაც ბჭობაა გამართული და რომელსაც საქვეყნო მნიშვნელობა აქვს, რეალი თვალსაზრისით.

ჩვენ არ უარვჰყოფთ, რომ 90 წლის ერობა ყოვლად უნაკლოა, მაგრამ ჩვენი ერის მიერ განცდილი მწარე ხანა დ მდგომარე უმძიმესი პირობები გვაიძულებენ მივიღოთ ყოველგვარი რეფორმა, რომელიც ოდნავ მაინც გააუმჯობესებს ჩვენი ხალხის ცხოვრებას. აი რისთვის ვუჭერთ მხარს ხსენებულ ერობას.

დაე, მოგვცენ ის ერობა, რომელიც რუსეთის შიდა გუბერნიაში აგერ 50 წელიწადია, რაც მოქმედობს. და შემდეგ თუ „ამ წესწყობილებათა“ საერთო რეფორმა მოხდება, მაშინ ჩვენ პირველნი გავხოებით ახალი რეფორმის მომხრედ.

ჩვენ კიდევ იმიტომ დავემყარენით იმ თავიდანვე 90 წლის ერობას, რომ ოფიციალ მთავრობის წარმომადგენლის სიტყვა წინასწარად გვაუწყებდა, რომ კავკასიაში შემოიღებენ მხოლოდ 90 წლის წესწყობილებასო.

მაშასადამე, იგივე რეალურ თვალსაზრისით აქ ჩვენის ფიქრით ზედმეტი იყო „ნილილისტური აზროვნება“ და „დემოკრატიზმზე“ კივილი

სომხების პროტესტი 90 წლის საერობო დებულების წინააღმდეგ მათი დემოკრატიზმის მოსარჩლეობით კი არა არის გამოწვეული, არამედ იმითი, რომ „მათ პარპაშს მომავალ ერობაში... ბოლო მოეღება.

ჩვენა გვგონია, რომ დემოკრატობით ვერც სომხები გვაჯობებენ და ვერც მაჰმადიანები. ან როდის ყოფილან სომხები დემოკრატიზმის გულწრფელი დამცველნი 1905 წელიწადს—თუ?

გაიხსენეთ იგივე 1905 წ. წ. და სომდაშნაცაკანების თუ სხვა სომეხ--შოვანისტთ საზიზღარი საქციელი, რომელიც ალბად ზოგიერთებს „დემოკრატიზმიც“ ჰგონიათ.

როგორი განწყობილება ჰქონდათ სომხებს და მაჰმადიანებს 1905 წ. და რა როლი ითამაშა ქართველმა დემოკრატიამ? მაგრამ ამის მოგონება ჩვენ საჭიროდ არ მივვაჩნია.

ჩვენთვის ნათელია, რომ რადგან წარსულ საერობო თათბირზე სომხებმა თავის მიზანს ვერ მიაღწიეს, ამიტომ პროტესტს გვიცხადებენ. ხოლო მათ ამ პროტესტს რომ უფრო მეტი გასავალი ჰქონდეს დ სხვაზედაც იმოქმედონ, დემოკრატიულ სამოსელში ეხვევიან.

მათი რუსული ასოებითი ნაბეჭდი სომხურ ლეზორგნო „კავკ. სლოვო“ და მისი სულისჩამდგმელი სოვდაგრები ჩვენ ხომ ვიცით რა დემოკრატებიცა ბრძანდებიან! ახლა ჩვენ გვინდა ვიკითხოთ თუ რაში გამოიხატება ბ ნ თევკელევის უკმაყოფილება? როგორც ზემოდაც ვსთქვით, კავკასიის მაჰმადიანობა ქართველ ხალხზე დემოკრატი არ არის, რომ მისთვის შეურაცხყოფად ჩაითვალოს 90 წლის საერობო დებულების მიღება.

90 წლის საერობო კანონი ქართველებს და მაჰმადიანებს ერთსა და იმავე უფლებებს აძლევს და ვინც დღეს კარგად იცნობს კავკასიის მაჰმადიანთა ცხოვრებას, ის დაგვეთანხმება, რომ არც მათთვის არის დიდად საზარალო 1890 წლის ერობა და ,,დემოკრატობაზე'' განგაში მათის მხრივ ამ ჟამად მაინც ხელსაყრელი არ არის

90 ერობა თქმა არ უნდა, დიდ გაუმჯობესებას შეიტანს ჩამორჩენილ მაჰმადიანთა ყოფა ცხოვრებაში.

ამას კარგად უნდა გრძნობდეს ის დეპუტატი, რომელიც ხალხის წარმომადგენელად სთვლის თავის თავს, და უსაქმურ კადეტებში გართული ყოვლად შეუსაბამო საზომით არ უნდა უყურებდეს თავის ხალხის ცხოვრებას.

კადეტები ყველამ იცის, რომ მეტად უსაქმური ხალხია, და დღიდან მათის პარტიის დაარსებისა, არც არაფერი გაუკეთებიათ რა. მათი ლიდერი მლიუკოვი ორპოფი პიროვნებაა, იგი არავის არ ინდობს...

თუ დღეს სომხებს შეაქებს, ხვალ ეჭვი არ არის მაჰმადიანებს მათ წინააღმდეგ დარაზმავს ..

ერთი სიტყვით, ხსენებული კადეტთა პარტია ერთგვარი გზა აბნეულთა მოხეტიალე პარტიაა და მათი ამყოლი ,,ინოროდეც—დეპუტატი თავის ხალხს ზარალის მეტს არას მოუტანს. ვწუხვართ, რომ მათ მაჰმადიანთა რამდენიმე ორგანოც აყვა

ი. იმერელი.

## რუსეთი.

26 მაისს პეტროგრადში ნევის პროსპექტზე სამხედრო ექიმმა კაფტაევმა რევოლვერით მოჰკლა უმაღლეს კურსების მსმენელი ქალი ბარდსკისა. მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე მომხდარა.

— —

პეტროგრადში მოხდა განსაკუთრებული თათბირი მცოდნე პირებისა, რომელთაც უნდა მოაწესრიგონ გამოქცეულთა მდგომარეობა: ტულისა დონისა და ციმბირის ოლქებში.

— —

შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, ქალაქთა კავშირებს აეკრძალა სხვადასხვა სახელმწიფო დეპარტამენტებში მოხსენებების წარდგენა, მათ მოხსენებას განიხილავს რომელიმე რევიზორი ან საგანგებო მოხელე.

— —

პეტროგრადის სასურსათო თათბირს დაუდგენია ყველა სანოვაგეს ფასი მოუმატოს.

— —

კიევისა, ხარკოვისა და რიაზანის უნივერსიტეტებიდან უკვე გაიწვიეს ჯარში 1892—5 წ.წ. დაბადებული სტუდენტები.

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. ტყიბული.** დიდი თავისუფალი თარეშობის დრო დაუდგათ ქურდებს. არავისი არც ეშინიათ და არც ერიდებათ. უმეტესად სარგებლობენ იმ შემთხვევით, რომ სოფელში გარდა ღრმა მოხუცებულობისა, ქალებისა და ბავშებისა არავინ მოიპოვება, ყველანი ბრძოლის ველზე არიან გაწვეული. მათ მშიერ ტიტველ ცოლშვილს კი ეს შეუბრალებელი რაინდები სულს უმწარებენ ისედაც გაძარცვულ ხალხს.

ამას წინად აქაურ მცხოვრებს სტეფანე მღებროვის ოჯახს, სადაც დარჩენილა ღრმად მოხუცებული ქვრივი სამი ავათმყოფი ქალით და ერთი ვაჟით, რომელიც ნახევრად მშიერტიტველი სწავლობს ქართულ გიმნაზიაში, მოჰპარეს 2 ძროხა და ერთიც ხბო ამის მეტი ამ ოჯახს სხვა საშუალება არ გააჩნდა. ოჯახის მარჩენელი 2 ვაჟკაცი ბრძოლის ველზე არის წასული და ჭირისუფლებმა არც კი იციან დაიხოცენ, თუ ცოცხლები არიან.

ამ მოკლე ხანში ამის გარდა შემდეგი ქურდობა იყო: მოსე ბოჭორიშვილს მოჰპარეს ერთი ფუშატი ცხენი ორის წლის კვიცით ალექსანდრე ბოჭორიშვილს ერთი ჭაკი ცხენი, სილოვან ბაბუხადიას ერთი ცხენი. დანარჩენი ცხენებისთვის რომ მობილიზაცია არ ექნათ, ყველას გზას გაუყენებდენ ეს ვაჟბატონები.

ქურდ-ბაცაცების თავგასულობას საზღვარი არ უდევს, იარჯვენ ყველაფერს, რაც კი მოხვდებათ და აწიოკებენ სახლს. საკვირველი ის არის, რომ ეს ვაჟბატონები უდველდღისთვის ახერხებენ თავს უშველონ, როცა ხალხი მათ ვინაობას გაიგებს ხოლმე.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას ვისგანაც ჯერ არს.

ნიკიფორე ნხაიძე.

— —

**სოფ. ძევრი** (ქუთაისის მაზრა). შემზარავ სურათს წარმოადგენს დღეს სოფლელთა ცხოვრება. ათასგვარ უმნიშვნელო გადასახადის და სიმიდის სიძვირის გამო მცხოვრებნი დიდ ნივთიერ კრიზისს განიცდიან.

კულტურული დაწესებულება სოფ ძევრში არ მოიპოვება, სამმა ან ოთხმა თუ იცის გაზეთის არსებობა, თორემ სხვას არც კი გაუგია არსებობს იგი თუ რა. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ჩვენი სულიერი მამების უმოქმედობა.

დღეს ჩვენ სოფელს ძალიან აბრკოლებს უგზოობა. ვერსად ხეირიან გზას ვერ შეხვდებით. სკმარისია წამოწვიმოს, გლეხიც თავის ქოხში უნდა მოემწყვდეს, აღიდდება ღელეები. წამოიღებს ქვას, სილას და აოხრებს ყველაფერს ასე რომ გზის კვალიც კი ისპობა.

როგორც იქნა გადავურჩით ორი კვირის განუწყვეტლივ წვიმებს. ვენახები ძლიერ გაფუჭდა სიცივეების გამო. ამას თან მოყვა საშინელი ქარი, რის გამოც ნაყოფი კი არა, ფოთოლიც არ შეარჩინა ხეხილს. ასეთ უნუგეშო მდგომარეობას განიცდის დღეს ჩვენი სოფლის გლეხკაცობა, და ვინ იცის მომავალი რას გვიქადის?

მექი ძევრელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის „სამშობლოს“ საშუალებით პასუხი გავსცე უცნობ კორესპონდენტს.

თქვენი პატივცემული გაზეთის „სამშობლოს“ 363 ნომერში მოთავსებულია უცნობ კორესპონდენტის ცნობა, რომელიც შეხება პირადათ მე, ვითომც გაზეთ „სამშობლოს“ ერთერთი ნომერი, სადაც დაბეჭდილი იყო წერილი „მოსე მწერლები“ წამეღოს იმ განზრახვით, რომ შიგ მოთავსებული წერილი არავის წაეკითხა.

ასეთი ბრალდების წამოყენება სრული ცილისწამებაა. და მეტი არაფერი, რასაც მკითხველი დაინახავს შემდეგი გარემოებიდან. მართალია, იმ გაზეთის ნუმერი, რომელშიაც მოთავსებული იყო წერილი დ. ხარაგოულიდან და რომელიც თავის ცილისწამებით შეხებოდა არა მარტო მე, არამედ მთელს ჯგუფს, მე წავიღე, მაგრამ არა ჩემის ნებით, არამედ იქ დამსწრეთა ნებართვით მაშინ, როდესაც ეს წერილი ყველა იქ დამსწრემ წაიკითხა ამ დროს მე სხვა ამხანაგებთან ერთად რეპეტიცია მქონდა. როდესაც მეც გავიგე შინაარსი წერილისა, მოვითხოვე გაზეთი, რომ ეთხოვებით ჩემთვის სამკითხველოს დაკეტვის შემდეგ ვინაიდან აქ სხვას არავის ქონდა ეს გაზეთი. მხოლოდ ბ. კორესპონდენტს ვერ გაუგია თუ ვინ წაიღო გაზეთი სამკითხველოს დაკეტვამდის, ან და იქნებ კიდეც იცოდეს მაგრამ სიმართლე რომ სთქვას, მე რიდათი შეურაცმეოფს? გაზეთი როცა მოვიკითხეთ აღმოჩნდა, რომ წაიღო ბ. ვ—ნო ი—ვილს, რომელმაც იმავე საღამოს უკან დააბრუნა. მხოლოდ იმ მიზნით კი არ წავიღე, რომ არავისთვის გავეგებინებია, არამედ იმ მიზნით, რომ სხვასაც გაეგო წერილის შინაარსი, ვისაც იგი ეხებოდა და სამკითხველოში იმ საღამოს არ მოსულიყო. მე საშუალება მომეცა მხოლოდ გაზეთი წამეღო რეპეტიციის დასრულების შემდეგ, ე. ი. ღამის 10 საათზე, როცა სამკითხველოში აღარავინ რჩება, ხოლო დილით სამკითხველოს უკანვე დავუბრუნე გაზეთი მიტროფანე ხიჯავაძის ხელით, ვინაიდან მე დილის მატარებლით სხვაგან შემიხვდა წასვლა თუ ამას ბრძანებს ბ. კორესპონდენტო, თუ რატომ გავბედე და წავიღე იმ ღამეს მე ის გაზეთი, არ ვიცი, ამით ვის რა დაუშავდა, განა ღამის 11 საათზე დილის 7 საათამდის ვინ შედის სამკითხველოში და თუ ამიტომ მისაყვედურებთ, რომ თქვენ გსურდათ წაგეღოთ იმ ღამეს ის გაზეთი და მე კი მოგასწარით, მაშინ ნება მიბოძეთ გკითხოთ, რატომ სხვას უნდა წაეღო და არა მე? განა მეც ისეთივე სრულუფლებიანი წევრი არა ვარ სამკითხველოსი, როგორიც სხვები?*).

რაც შეეხება იმ წერილში წამოყენებულ ბრალდებებს, ეს ჯერ დასამტკიცებელია, რასაც ამ მოკლე ხანში გაარჩევს სამედიატორო სასამართლო.

ბესარიონ მუმლაძე.

*) არც ერთ წევრს უფლება არა აქვს გაზეთი სამკითხველოდან წაიღოს, სამკითხველოების წესდების ძალით. **რედ**

— —

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთ „სამშობლოს“ საშუალებით დიდი მადლობა გამოვუცხადოთ შორაპნის ოლქის ბლაგოჩინ დეკანოზს დავით სუხიაშვილს, რომლის მეთაურობითაც ძირულაში 5 მაისს მომხდარ სამღვდელოების კრებაზე ქვემოხსენებულომა მღვდლებმა, მედავითნეებმა და მნათეებმა შემოსწირეს თავისი წვლილი ძირულის სამკითხველოსა და ხიდის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლათ; თითო მანეთი: დეკანოზ დავით სუხიაშვილმა, მღ. იერ. ბერიძემ, მღ. კირილე დამბაშიძემ, მღ გიორგი ანთაძემ, მღ. ვასილ გიორგაძემ, მღ. ვასილ ჩხიკვაძემ და მნათე გედევან ჩუბინიძემ; ათ-ათი შაური: მღ. სიმონ ჭულუხაძემ, მღ. ელეფ. აბესაძემ, მღ. სიმ. გახჩილაძემ, მღ. გაიოზ მღრაძემ, მღ. პ. გველესიანმა, დეკ რომანოზ გორგაძემ, მღ. პორფ. კაპანაძემ, მღ. ანტ. კვანტრიშვილმა, მღ. ვას. ფერაძემ, მღ. დავ. კვიფინაძემ, მღ. ბიკ. ბარათაშვილმა, მღ. ბეს. კელენჯერიძემ, მღ. სევ გოგსაძემ, მღ. ალ. კვანტრიშვილმა და მედ. გიგო ვარდოსანიძემ 6 შ. მედ. მიხ. ბარაბაძემ და მღ. ივ. უიფშიძემ; 1 აბ. რაფ ყანჩაველმა და მედ. გიგო ბაკურაძემ 3 შ. მედ. ელ. ჭანკოტაძემ, მედ. ერ დიბრაძემ, მედ ირაკლი ოსაძემ და მედ. ის. ნიქაბაძემ; 2—2 შ. სრულიად 16 მანეთი და 2 შ. რომელიც მივიღე კუთვნილებისამებრ გადასაცემათ და დიდ მადლობასაც ვსწირავ შემომწირველთ.

ძირ. სამკ. მოლარე ერმალოზ ებანოიძე.

## შემოწირულება.

„სინათლის“ საზოგადოების სერინობისთვის შემოსწირეს: სიკო ქავთარაძემ—ცოცხალი კურდღელი, ერეკლე აბაშიძემ — შესადები ხის ცხოველები, ანდამატი და სურათებიანი წიგნი თამრიკო აბაშიძემ—კოლოფი, კატო აბაშიძემ —ხის კვერცხი, გია აბაშიძემ—სურათი და სამარკე კოლოფი „სინათლის საზოგადოების“ მოწაფეემ ანიკო ცაგარეიშვილმა—ფაიფურის სასუხრე, ყორყიკ ცაგარეიშვილმა— თავისი დახატული სურათი ჩარჩოში, მარიამ [illegible]სამ—3 არშ. ჩითი, მ. ი. რუბანისამ—ნაქსოვი საყელო, ელისაბედ [illegible] ყვავილები, ბაბ. ჩინჩ[illegible] — ყვავილები

ფულად შემოსწირეს:

ამბროსი სვანიძემ—10 შ. ილარიონ ბერიძემ—10 შ. კნ. ქეთ. ბაგრატიონისამ—10 შ. რაჟდენ დათეშიძემ—10 შ. სოლომონ წერეთელმა—10 შ. თ. დავით ნაჟარაძემ—15 შ. პეტრე რაფაელოვმა—5 შ. გიორგი კერესელიძემ—5 შ. ელის. გოკიელოვისამ—5 შ. კნ ელისაბედ წერეთლისამ—5 შ. ნინო გ მაქლაძისამ—5 შ. მარ. ჩხიკვაძემ—2 შ. ელისაბ. კანდელაკისამ—1 შ. კნ. ასათიანისამ—1 შ. ათ ათი შაური: მითადორა დათიაშვილისამ, კატო იობაძემ და მაშიკო კუტაძისამ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. | 5 წ |
| „ | — საღამ. | — 8 ს. | 55 „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. | 45 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. | 25 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს | 31 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. | 55 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს | 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. | 5 „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. | 30 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. | 10 „ |
| „ | — დილის | — 6 ს. | — „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | 13 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. | 25 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 6 ს. | 25 „ |

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

**ა ბ ა ნ ო.**

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისავნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. ს დგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

**უკაცობა და ნევრასთენია.**

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

**გრანული** ექ. გლეზისა.

**გრანული ექ. გლეზისა** მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ –სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

**გრანული** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვლს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მძიმე ავანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული.** ქ. ოდესა.